

ახალი თაობა



akhaitaoba.ge

გიორგი გუგავა:
„კორონავირუსი შეიძლება უსიმკვამოდ გადაიტანო, მაგრამ უჭველოა მომავლენაზე“



გვ.4

ივანიშვილს მარტო საყდრისიდან მილიარდი დოლარის მოგება აქვს მიღებული

სამშაბათი, 14 აპრილი, 2020

№86 (8350)

ფასი: 60 თეთრი

ირაკლი ოქრუაშვილს 5 წელი მიესაჯა

პროკურატურა სასჯელს გაასაჩივრებს



გვ.5

„ოქრუაშვილს, უგულავას და რურუას 25 მაისისთვის გამოუშვებენ“

გურამ ჩალაგაშვილი:
„ირაკლის 13 აპრილს გამართლების იმედი არ ჰქონდა“



გვ.2

„21 აპრილიდან საბანგეო ზომების შეზღუდვა უნდა დაიწყოს“

არჩილ გამზარდია:
„ოპოზიცია პარალიზებულია, ხელისუფლების ქმედება ცალ კარში თამაშს ჰგავს“



გვ.3



გვ.2

„ოსნებაზე“ საარჩევნო კამპანია გახსნა“

ლევან კობერიძე: „ხელისუფლება კორონავირუსთან დაკავშირებულ ინფორმაციას თავის ექსკლუზივად მიიჩნევს“

მიგლა ბარამიძე: „ქართველებს წუნენი გვიწვია და ამ საბანგეო ელგომარეობაზე იმიტომ ვწუნუნებთ“



გვ.4

„მთავრობას ვთხოვ, მრავალპილიანი ოჯახები ბათივისუფლოს საშემოსავლო გადასახადისაგან“



გვ.3

„ვირუსთან ბრძოლაში მიღებული დივიდენდები მთავრობამ შეიძლება უსხად დაკარგოს“

ვასტანჯ ძაბირაძე: „უმუშევრად დარჩენილი ხალხი ძალიან მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდება“



გვ.3

6 ლუკაშენკო: „ბელარუსში „სუფთად“ კორონავირუსით არავინ დაიღუპება!“

5 აოლისია ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხილისყურში საკარანტინო რეჟიმის აღსრულებას უზრუნველყოფს

6 ფაური: „კარანტინიდან გამოსვლა ნელ-ნელა უნდა მოხდეს!“



5 შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბანგეო ელგომარეობის რეჟიმის დარღვევის 104 ფაქტი გამოავლინა



„21 აპრილიდან საგანგებო ზომების შერჩევა უნდა დაიწყოს“ არჩილ გამზარდია: „ოპოზიცია პარალიზებულია, ხელისუფლების ქმედება ცალ კარში თამაშს ჰგავს“

იაგო ნაცვლიშვილი

კომუნიკაციების მართვის სპეციალისტის, ანალიტიკოს არჩილ გამზარდიას მოსაზრებით, 21 აპრილიდან უნდა შემუშავდეს რაღაც მექანიზმები და საგანგებო ზომების შერჩევა დაიწყოს, ვინაიდან კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი შესაძლოა თვეების განმავლობაში გაგრძელდეს. რატომ ხდება ამის საჭიროება ახლა, როდესაც პიკა მოსალოდნელია აპრილის ბოლოს, რამდენად თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს ხელისუფლება და ხომ არ გადააერთო წინასწარჩვენო პიარზე „ქართული ოცნება“? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში არჩილ გამზარდია საუბრობს.

– ჩამოთვალეთ რამდენიმე პუნქტი, რომელთა შერჩევა უნდა დაიწყოს ხელისუფლებამ 21 აპრილიდან. რატომ ფიქრობთ, რომ ეს გასაკლებად ახლა, როცა პიკს სწორედ აპრილის ბოლოს ელოდებიან?

– პიკს რაც შეეხება, სიტუაციურად ხან ამბობენ აპრილის ბოლოს, ხან მაისს, ივნისს, ივლისს, აგვისტოს და სექტემბერსაც კი. სხვადასხვა ვერსიები იყო შესაძლო პიკთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტორი მხოლოდ ეს არ არის.

ხელისუფლებამაც და საზოგადოებამაც გარკვეული ადაპტაცია უკვე გაიკეთა. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების პოლიტიკა უნდა იყოს მიზნობრივი. მაგალითად, რომელიმე რეგიონში შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს შეზღუდვები, ზოგან შემსუბუქდეს. ჩვენ თუ ერთიანი აკრძალვების რეჟიმში გავაგრძელებთ ცხოვრებას, რთული იქნება. ზარალი რბილი შეფასებაა ამ მხრივ, რადგან ვხედავთ, რომ თითოეული ჩვენგანი პარალიზებულია.

– ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური მიმართულება გაქვთ შედეგობაში?

– სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც და მოქალაქეების მორალური თვალსაზრისითაც. მოქალაქეთა მორალური ფაქტორი დროის გასვლასთან ერთად უარესდება. მოქალაქეებსაც სჭირდება ნელ-ნელა, მეტ-ნაკლები დოზით სიცოცხლისუნარიანობის დაბრუნება და ეს სჭირდება სახელმწიფოსაც.

რომელია და ქალაქში შეიძლება კარანტინის რეჟიმი ამოქმედდეს, ანუ უფრო მიზნობრივი

გახდა ხელისუფლების პოლიტიკა. ეს უფრო სწორი პოლიტიკაა და უნდა იყოს ძალისხმევა მიმართული იქით, რა, სად და როგორ არის საჭირო. არის რაღაც თემები, რომელზეც ხელისუფლებისგან ზოგადი კომენტარები გაკეთდა.

ჩვენ გვჭირდება ელემენტარული სამომხმარებლო უფლებების აღდგენა მაინც. იმის ფონზე, რომ ერთ-ერთი ქსელი „სუფთა სახლი“ დაკეტეს და ადამიანებს პიკეტინსა და შესაბამისი საჭიროების ნივთების შეძენა კიდევ უფრო გაუჭირდათ, საჭიროა აქაც გაძლიერდეს სტანდარტი. იმიტომ, რომ ეს შეიძლება იყოს გრძელვადიანი პრობლემა, ამიტომაც საჭიროა, ნელ-ნელა და ფრთხილი ნაბიჯებით ფუნქციონირება აღდგეს.

– მონიტორინგი?

– მონიტორინგი, ქვეყნისა და მოქმედების სტანდარტის დაცვით. შევეჩვიეთ მარკეტებში სოციალური დისტანციის ქვეშ ყოფნას. რაღაც უნარები ხომ გამოვიმუშავდა, ასე უნდა იყოს ამ შემთხვევაშიც.

– მათ შორის უნდა აღდგეს ბაზრებიც?

უფრო მეტი დარჩენილების კომპენსაციაზე არაფერი იმის, მაგრამ მათ რომ მისცენ კომპენსაცია, რთული იქნება თვითდასაქმებულების აღრიცხვა. ბაზრებში კი სწორედ ასეთი ადამიანები მუშაობენ.

– პირველ რიგში, ამის სტანდარტი და კონტროლის მექანიზმი უნდა შემუშავდეს. მე არ მითქვამს, რომ 21 აპრილიდანვე ეს ყველაფერი უნდა აღდგეს. ბაზრები პირობითია, იქ არის ღია დახლები, დახურული დახლები, კონტინერული ფორმით სექციები... უნდა შემუშავდეს მართვისა და კონტროლის ნუსი. უნდა იყოს ან პატრული ან ვილაჯი, ვისაც შეუძლია ამის კონტროლი, თუნდაც ჯარიმები დაწესდეს. სულ რამდენიმე ბაზარზეა დედაქალაქში ლაბარაკი და რეგიონებშიც ინდივიდუალურად. ბუნებრივია, რომ ეს არ არის მხოლოდ დასაქმებულების თემა, მომხმარებლების თემა.

როდემდე შეიძლება ვიყოთ ასე, მით უმეტეს, სახვებით შესაძლებელია, რომ პროცესი წავიდეს თვეები, მერე ისევ გართულდეს და ჩვენ უნდა შევეჩვიოთ სიცოცხლისუნარიანობის დაბრუნებას როგორც მოქალაქეები, ისე სახელმწიფო.

ამიტომაც, 21 აპრილიდან რაღაც მიზნობრივი ქმედებები განსახორციელებელია. მათ შორის

რის, გადაადგილების მექანიზმებიც. ოჯახის წევრებს რომ ერთი ავტომობილით გადაადგილება ეზღუდებოდა, ეს ნესი რომ ყოველად გაუგებარია, ეს ცალსახაა. მით უფრო, მოდის ზაფხული და ადამიანები მიდიან რეგიონებში, კერძო სახლებში, სადაც უფრო მეტად დაცულნი იქნებიან, ხოლო ასეთი შეზღუდვები მძიმე მდგომარეობაში აგდებს მათ.

– საქალაქთაშორის ტრანსპორტზე რას იტყვით?

– არის რეგიონები, რომლებიც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაშია. თუკი სადაც საფრთხეებია, იქ უნდა დარჩეს. ასეთი საფრთხის შემცველ ადგილებზეც შეიძლება დროებითი ღონისძიებების მიღება. ასევე შეიძლება დროებითი დაშვება, მაგალითად, თითო რიგში თითო ადამიანი. ეს შესაბამისმა სპეციალისტებმა უნდა განსაზღვრონ, იგივე დეზინფექციის ჩატარება და ა.შ.

არის რეგიონები, სადაც საფრთხე ნაკლებია, მაგრამ სერიოზული პრობლემებია, რადგან ჩაკეტილობა ბევრ პრობლემას უქმნის. რომ ვთქვათ, სახელმწიფო იდეალურად უვლის ამ ყველაფერს, ეს ასე არაა. ადამიანებს საკუთარი პრობლემების მოგვარება თვითონ უნდა. ერთადერთი, სიმბოლურად კომუნალური შეღავათები მივიღეთ, თორემ ხელისუფლებას თავის თავზე ხომ არ აუღია ადამიანების ადგილზე მომარაგება?

– რაზეც საუბრობთ, ამისთვის ხელისუფლების მზობას თუ ხედავთ, რაზეც მუშაობა უნდა იყოს დაწყებული ან განხორციელებული მან?

– ერთადერთი იყო პრემიერის განცხადება, რომელიც სადღეგრძელოსავით გამოვიდა, რომ უნდა დაეწყოს და თუნდაც ხელთათმანებით ვიცხოვროთ. მეტი არაფერი არ ყოფილა. ჩემი შესხედულებები შესაძლოა სხვებმა უფრო კვალიფიციურად დალაგონ, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებმა, რათა მიხედნენ რომ რაღაცა სტანდარტებსა და კონტროლზე მუშაობა უნდა დაიწყოს.

ამ ეტაპზე ეს არ ჩანს. ხშირად მექანიკურად და ზოგჯერ სტიქიურად მიჰყვება ხოლმე ხელისუფლება. მარტივად გადაწყვიტა ყველაფერი.



რის, დაკეტა და დახურა ყველაფერი.

– არ დაინახეთ საკუთარი პარტიის პიარზე მუშაობა, მათ შორის არჩევნების კონტექსტში? ხომ არ ხდება ექიმების სამუშაოს გამოყენება, ან როცა საბატარიუს ვერ ეუბნებიან სათქმელს მკაფიოდ. ეს პროცესი პიარის მხრივ როგორ დაინახეთ?

– შეკითხვა რიტორიკულიც კია. ეს არ არის საკითხი, რომელსაც პროფესიული თვალთ მიგნება უნდა. ყველა ვხედავთ, მაგრამ მაინც უკვე გადასულია წინასწარჩვენო რეჟიმში.

პოლიტიკურ სამართლიანობაზე საუბარი ამ შემთხვევაში ზედმეტია. იმიტომ, რომ ეს თანაბარ შესაძლებლობებზე უნდა ვრცელდებოდეს, მაგრამ ამ სიტუაციაში მხოლოდ ხელისუფლებაა და უნდა გაითვალისწინოს ჩემი მოსაზრებები, რომ იქნებ რაღაც სიცოცხლისუნარიანობა შემოიტანონ და გამოიყენონ თუნდაც წინასწარჩვენო. განახორციელონ რაღაც ქმედითი ნაბიჯები, რადგან ისე ერთმართვლობით რეჟიმში ვიქნებით წინასწარჩვენო და პოლიტიკური სიტუაციის მხრივაც.

„პირუსთან ბრძოლაში მიღებული ღირებულებები მთავრობამ შეიძლება უხედავად დაკარგოს“

ვახტანგ ძაბირაძე: „უმუშევრად დარჩენილი ხალხი ძალიან მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდება“

ნათია ხურცილაძე

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობს. **– ბატონო ვახტანგ, ირაკლი ოქრუაშვილს 5 წლით მიესაჯა პატიმრობა. ოპოზიცია უკვე აცხადებს, რომ თუ შეთანხმება არ შესრულდება ბოლომდე, ხელისუფლებას უმძიმესი მომავალი ელის. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს?**



ადგილი. ახლა ოპოზიცია არგუმენტებს ითხოვს. ხელისუფლებისგან ეკონომიკური პროგრამის წარმოდგენას, კრიზისის დაძლევის გეგმას ითხოვს.

ოპოზიციას გაუჩნდა ხელჩასაჭიდი, რომ ხელისუფლება გადაიყვანოს არა იმ ველზე, სადაც ის ასე თუ ისე თავს ართმევს და

ბა, ეს ნაბიჯი გადადგას. როგორც ჩანს, ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ასეთი მოთხოვნა არ იქნება. ოპოზიციის აქტიურობა ამ შემთხვევაში არაფერს მოიტანს. თუმცა, უნდა იაქტიუროს.

– ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლებას საგანგებო მდგომარეობის ვადის გაგრძელებაზე ცალსახა მხარდაჭერა არ ექნება. ოპოზიციის მხრიდან პოლიტიკურ დებატებზე მორატორიუმი დასრულდა?

– საგანგებო მდგომარეობის გაგრძელებას 76 ხმა სჭირდება, რაც ოპოზიციის გარეშეც აქვს ხელისუფლებას. აქ მნიშვნელოვანი პოლიტიკური სექტორის ერთიანობის დაფიქსირება იყო, რასაც მართლაც ჰქონდა დაფიქსირება ოპოზიციისგან. ოპოზიციის გაუჩნდა ხელჩასაჭიდი, რომ ხელისუფლება გადაიყვანოს არა იმ ველზე, სადაც ის ასე თუ ისე თავს ართმევს და

კარგ პოზიციაშია, რასაც ვირუსთან ბრძოლა ჰქვია, არამედ იქ, სადაც პრობლემა მართლაც შეიძლება ძალიან დიდი იყოს და ეს სოციალურ გარანტიებს ეხება.

ოპოზიცია პირდაპირ ამბობს, რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი კორონავირუსისგან მოკვდეს თუ შეიშლინოს. ეს ის ვითარებაა, როდესაც ოპოზიციას ნამდვილად აქვს ხელმოსაჭიდი. ადრეც იყო მცდელობები, მასობრივ ტესტირებას ვგულისხმობ, მაგრამ ამან არ იმუშავა. ელექტორატში მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. განსხვავებით ტესტირებისგან, შიმშილის თემა ნამდვილად იმუშავებს.

ობიექტურად, სიტუაცია საკმაოდ მძიმეა. ადამიანებს ერთი თვე ან ეყოფათ დანახოვი ან არა. ამის შემდეგ, მით უფრო სახლში უმუშევრად დარჩენილი ხალხი, ძალიან მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდება.

კომუნალური ვაუჩერები საკმარისი არ არის და ამას გრძობს როგორც მოსახლეობა, ისე ხელისუფლება. ამიტომ, პოლიტიკური დივიდენდები, რომლებიც ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაში მოიპოვა ხელისუფლებამ, შეიძლება ნელ-ნელა დაკარგოს, თუ ეკონომიკური მიმართულებით რეალურ ნაბიჯებს არ გადადგამს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გიგლა ბარამიძე: „ქართულს ნუნუნი გვჩვენა და ამ საგანგებო მდგომარეობაზე იმიტომ ვნუნუნებთ“

„საუკეთესო სასტუმროებში რომ აცხოვრებენ კარანტინში მყოფებს, ესეც უნდა ვინახოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

კოვიდინფექციასთან მებრძოლი საქართველოს მედიკოსები აცხადებენ, რომ მკაცრი ზომები და შეზღუდვები მაქსიმუმ სამ კვირას კიდევ უნდა გაგრძელდეს. ეს საზოგადოებასა და ოპო-



ზიციაში აზრთა სხვადასხვაობას აჩენს. – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივანს, გიგლა ბარამიძეს.

– საგანგებო მდგომარეობის შესაძლო გაგრძელება საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილის პროტესტს იწვევს. უშემოსავლოდ დარჩენილი მოსახლეობა შეშინებულია.

– ჩვენ ხელისუფლებას ვერ ვუკარნახებთ, სანამდე უნდა გააგრძელოს საგანგებო მდგომარეობა. ამ პანდემიაზე ხელისუფლებას ჩვენზე ბევრად მეტი ინფორმაცია აქვს. ეს არის იძულებითი ზომები. თუ ხელისუფლებას ადამიანი ან ამ მდგომარეობის გაგრძელება, ასეც უნდა იყოს. ამიტომ, ვილაცის ემოციებს და პოზიციობას ნუ აყვებთ. ხელისუფლებამ ამ კორონავირუსთან ბრძოლის საკითხში ივარგა და ამ მომენტისათვის ყველა ქვეყანაზე უკეთესი შედეგი აჩვენა. თუ საჭიროა, ცოტაც გავიჭიროთ, რომ ვირუსს მოვერიოთ.

– ხალხს სხვა რამ აწუხებს.

– ამ საკითხზე ვაპირებთ საუბრის გაგრძელებას. რასაკვირველია, ჩვენ ყველანი სხვა სიტუაციაში აღმოვჩნდით. განსაკუთრებული საფიქრალი და საზრუნავია ის ხალხი, რომელიც ამ პერიოდში ხელფასს ვერ იღებს. შესაძლებელია

ლია გეგმა. მოსაფიქრებელია კომპენსაციების საკითხი. დაზარალებულებს სჭირდებათ დახმარება. ხალხმაც უნდა გაიგოს, რომ საგანგებო მდგომარეობას თავი წესები აქვს. ყოველდღე 150 კაცამდე რომ არღვევს ამ წესებს, ისიც ხელისუფლების ბრალია?! სხვა ქვეყნებშიც შეზღუდვებია. ზოგან ბევრად უფრო მკაცრი რეჟიმი მოქმედებს და პოლიცია დამრღვევებს ხელკეტებს ურტყამს.

– ხალხის ნაწილს განსაკუთრებით კომენტარების საათი აღიზიანებს.

– რა არის კომენტარების საათი უცნაური? საგანგებო მდგომარეობის დროს კომენტარების საათი ხშირად ნუსდება. აუცილებელია, ადამიანმა საღამოს 9 საათიდან დილის 6-მდე სადმე იაროს და იქიფოს?! შე დალოცვილი, როცა ასეთი ვითარებაა, 9-მდე მოითავსე საქმე ზოგს კაფეებისა და რესტორნების გარეშე ვერ გაუძლია. გაუთავებელი ჭამა-სმა და ღიპები ჩვენი სენია. ამ სიტუაციაშიც ვერ მოიშალა დიდი ქელები და ორმოცი. საერთოდ, თუ სორცხე ნაკლებად ვიზრუნებთ და სულზე მეტად, უკეთესი იქნება. კომენტარების საათი აუცილებელია იმისთვის, რომ ნაკლები ინფორმაცია იყოს. ხელი-სუფლებამ ამ შემთხვევაშიც სწორად იმოქმედა. ჩვენ ოპოზიცია ვართ, მაგრამ კარგსაც ვხედავთ. კიდევ ერთი დადებითი მოქმედება უცხოეთიდან

ჩამოსული ჩვენი მოქალაქეების განთავსება კომფორტულ სივრცეებში.

– მათ კარანტინს ძირითადად სასტუმროებში უწყობენ.

– ბევრი მათგანი „შერატონში“, „ლოპოტაზე“, სხვა პირობებში ვერ მოხვდებოდა. ახლა მათ ამ ადგილებში სახელმწიფო სამკურნალო კვებით უზრუნველყოფს. რაც დასანახია, იმას ვხედავთ. თორემ, საგანგებო მდგომარეობის დამთავრება ჩვენც გვეჩქარება. საარჩევნო წელია და სხვა თუ არაფერი, წინასწარჩვენო შეხვედრები და კამპანია გვაქვს ჩასატარებელი.

– სხვა ოპოზიციის და საზოგადოების ნაწილი ხელისუფლების მიმართ უფრო და უფრო კრიტიკულად ენუობა.

– ჩივილი ბევრია. ჩვენ, ქართველებს, საერთოდ წესად გვაქვს წუნწუნი. ბოლო ნახევარი საუკუნეა სულ ვწუნუნებთ. სამწუხაროდ, ის სენიც გვჭირს, რომ სხვისი ხელის შემყურე ვართ. გვინდა, სხვამ გვაჭამოს, დაგვეარცხნოს, გაგვხანოს, დაგვანოს. ამ საგანგებო მდგომარეობის ვადებზე კი ვცალკოთ ხელისუფლებას. თუ აუცილებელია ვადის გაგრძელება, გავაგრძელებინოთ. ჯობია, მოთმინება გამოვიჩინოთ და ცოტა ქამრებიც მოვიჭიროთ, ვიდრე ემიგრაციის აფეთქება მოხდეს.



გიორგი გუგაია: „კორონავირუსი შეიქცა უსივსომოდ გაღიჯანო, მაგრამ უჭველოა მოაკვდიანებალი“

ივანიშვილს მარტო საყდრისიდან მილიარდი დოლარის მოგება აქვს მიღებული

მარიამ მჭედლიშვილი

როგორ უნდა მივინჯოთ მოსახლეობას კორონავირუსზე ინფორმაცია ისე, რომ ხალხი სტრესში არ ჩავარდეს? რატომ არის სასიცოცხლო აგრარული დახმარების განევა მოსახლეობისათვის? კიდევ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შიმშილის პრობლემა არ დადგეს? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ლეიბორისტული პარტიის გენმდივან გიორგი გუგაიას.

– დეპუტატი ევა ბესელია აცხადებს, რომ მოვიდა დრო, საზოგადოებაში, პანდემიის გარდა, სხვა თემებზეც იყოს საუბარი. მისი აზრით, პანდემიაზე ამ დროით გამუდმებული ლაპარაკი სტრესის მომტანია. თქვენ რას იტყვით?

– გვინდა თუ არა, ყველანი მოცული ვართ პანდემიის თემით. საქმე ეხება ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. ამიტომ საზოგადოებას რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს ინფექციაზე, მასთან ბრძოლის მეთოდებზე. რასაკვირველია, ეს უნდა ხდებოდეს ადამიანების დასტრესების გარეშე. ჩვენ, ლეიბორისტულ პარტიას, საქმიანობა არ შეგვიჩერებია. დღე არ ყოფილა, არ გვეპატიუროს.

– თქვენი აქტივობები უფრო ეპიდემიოლოგიური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობდა?

– რასაკვირველია. ხალხი უშიშის მდგომარეობაშია. თავიდანვე მოვითხოვეთ კომუნალური ვაუჩერების გაცემა და აბას მივალნიეთ. ასევე მოვითხოვეთ სასოფლო-სამეურნეო პაკეტის სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის და და აბას-ათასი ლარის დარიგებას ყველასთვის.

– აგრარულ დახმარებას სხვა დანიშნულებაც აქვს? ქვეყანაში ბევრს საუბრობენ ადგილობრივი პროდუქციის აუცილებლობაზე.

– ცხადია. ჯერ ერთი, ხალხს რეგიონებში არა აქვს ფული მიწების დამუშავებისთვის, ასევე შხამქიმიკატებისა და სათესლე მასალების შესა-



ძენად. სახელმწიფო მათ ამაში უნდა დაეხმაროს. აქამდე სასურსათო პროდუქციის დაახლოებით 85% იმ ქვეყნიდან შემოგვქონდა, სადაც ახლა პრობლემებია. იმათ თვითონ ადგათ გასაჭირი და ჩვენ რას გამოვიგზავნიან?! ჩვენ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გვჭირდება, რომელმაც შემოდგომაზე უნდა გააჯეროს ადგილობრივი ბაზარი!

– გავრცელებული ინფორმაციით, აგრარული სექტორის სუბსიდირებაზე მთავრობაშიც ფიქრობენ. რაც შეეხება აბას-ათასი ლარის დარიგებას, ეს ნაკლებად მოსალოდნელია?

– ეს აუცილებელია. სხვა სახელმწიფოებმა, აშშ-ით დანკებული, რუსეთით დამთავრებული, ეს გააკეთეს. თავის საკუთარ მოსახლეობას ყველა დაეხმარა. ულუკაშუროდ დარჩა 850.000 თვითდასაქმებული. ჩვენ გვყავს ასევე 300.000 ხელმოკლე ადამიანი. ჩვენთან 77.000 ბავშვი შიმშილობს. ამ ხალხსაც და სხვა ადამიანებსაც საშემოლოდ ვნერავთ. ხომ ხედავთ, აგრარული

ბაზრებიც კი დაიკეტა და უფრო მეტი ადამიანი აღმოჩნდა შიმშილის წინაშე, განსაკუთრებით, რეგიონებში. იქ ადამიანებს შეეძლოთ, გაეზარდათ ქათმები, მოეყვანათ ბოსტნეული და ადგილობრივ ბაზარზე გაეყიდათ. მათ ეს საშუალება მოეპოვა.

– თბილისის ბაზრები დაკეტულია და ადამიანი ბოსტნეულს ვერ იშვობს.

– ზოგიერთ დიდ სუპერმარკეტში არის ხილ-ბოსტნეული, მაგრამ, ისეთი ფასი ადევს, ადამიანს გული უსკდება. ავთიაქებში მედიკამენტები გაძვირდა. ივანიშვილის კუთვნილ „კარფურს“ წლიური მოგება 100 მილიონი ჰქონდა. ამჟამად, როცა ამდენი რამე დაიკეტა, ეს მოგება გაათმაგდება. ხალხი გამოკეტეს სახლებში, დატოვეს სარჩო-საბადებლის გარეშე. ვინც უდროოდ გარეთ ცხვირი გამოყოფს, 3.000 ლარით აჯარიმებენ. საგანგებო მდგომარეობის დროს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე უნდა იზრუნო, მაგრამ ადამიანი მშვიდი კი არ უნდა ამყოფო!

– არ არის გამოიცხადებული საგანგებო მდგომარეობის განხრძობა.

– ამ საკითხზე თავიანთი აზრი უნდა გამოთქვან ეპიდემიოლოგებმა. თუ საჭიროა, გაახანგრძლივონ, მაგრამ, ისე კი არა, რომ მოქალაქეები შიმშილით ამოწყდნენ! კორონავირუსი შეიძლება უსიმპტომოდ გადაიტანო, მაგრამ უჭველობა მომაკვდინებელია. ივანიშვილს მარტო საყდრისიდან აქვს მიღებული მილიარდი დოლარის მოგება. კეთილი ინებოს და გაილოს, რამდენიც საჭიროა!

– ივანიშვილმა 100 მილიონი ლარი გამოყო კორონავირუსთან ბრძოლის ფონდში.

– ჯერ არ ვიცით, ივანიშვილმა 100 მილიონი მართლაც გადაარცხა თუ ეს აფერაა. კახეთისთვის გამოყო ერთხელ 80 მილიონი და მალე გაიკვდა, რომ ეს თანხა უკან დაიბრუნა. თვითონ ამბობს, ტრუჟუები გამომდისო. შეიძლება, ესეც

ტრიუკია. თუ მოსახლეობას რამეს მისცემენ, თუ ხალხი ამ თანხას საკუთარ თავზე იგრძნობს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ეს ინფორმაცია მართალია და ტრიუკი არ არის.

– იქნებ ამ თანხას სამედიცინო აღჭურვილობასა და სხვა ხარჯებს მოახმარებ?

– ნიღბები უკვე შეკურეს. როგორია ეს ნიღბი, ყველამ ვნახეთ. ჩვენ დაგვეხმარა ევროკავშირი. ლარზე რომ გადმოვიყვანოთ, ეს დახმარება 600 მილიონი ლარია. ასევე მივიღეთ აშშ-ისა და ევროკავშირის გაფართოების პროგრამის დახმარება. მობილიზებულია ქვეყნის ბიუჯეტი. იზოგება სამივლინებო, სანავაი, პრემიების თანხები. ისინი ჯანდაცვის სფეროში გადმონაწილდა. სამედიცინო აღჭურვილობისათვის სახსრები არსებობს. ასე რომ, ხალხმა ეს გამოყოფილი ფული თავის ტყავზე უნდა იგრძნოს. ადამიანებს ისე უჭირთ, ზოგ ჩინოსანს ვერ წარმოუდგენია. პარტიაშიც გვირეკავენ და გვთხოვენ დახმარებას. რითაც შეგვიძლია, ადამიანებს იმით ვეხმარებით. რაც ჩვენი ძალეზს ალემტება, იმას მთავრობას მოვუწოდებთ. მუდმივად გამოვდივართ პროგრამებითა და ინიციატივებით. ჩვენი კიდევ ერთი მოთხოვნაა ვალების ჩამოსწრა.

– ბანკები კრედიტების დაფარვას გადააგადავენ.

– ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ვალების ჩამოსწრა. ორი-სამი თვის შემდეგ სიდან უნდა მოიტანონ ადამიანებმა ფული? საუბარია მცირე და საშუალო ბიზნესზე, ამ ბიზნესმენების მიერ აღებული კრედიტებზე. ბანკებს ახლა 200-მილიონიანი მოგება აქვთ. ის შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 80%-ით მეტია. არ შეიძლება, როცა ასეთი მოგება გაქვს, გაჭირვებულ მოქალაქეებს ყელი ხელი წაუჭირო. საგანგებო მდგომარეობაში შხავს ზრუნვას ადამიანებზე. შინ გამოკეტული ადამიანები არ უნდა აშიმშილო. მშვიდ ადამიანს ნებისმიერი დაავადება მარტივად შეხვდება.

„მთავრობას ვთხოვ, მრავალპილიანი ოჯახები გაათავისუფლოს საშემოსავლო გადასახადისაგან“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე პასუხობს.

– ბატონო დიმიტრი, როგორ ცხოვრობთ კორონავირუსისა და საგანგებო ვითარების პირობებში?

– ჩვენი ოჯახი ცოტა კომიკურ სიტუაციაში აღმოვჩნდით, ვინაიდან უნებლით ვარდევით კანონს საგანგებო ვითარების შესახებ.

– უნებლით, როგორ არღვევთ?

– ერთ ჭერქვეშ ცხოვრობთ 12 სული. მიუხედავად იმისა, ნებისმიერი იტყვის, რომ ეს არ არის კანონდარღვევა, სინამდვილეში რეგულაციაში არ არის ისეთი დამატება შეტანილი, რომ ერთი ოჯახის წევრთა ერთ ჭერქვეშ მცხოვრება და 10 სულზე მეტის ერთად თავსეყრა კანონდარღვევაა. სამწუხაროდ, ჩვენ კანონდამრღვევი ოჯახი გამოვდივართ.

– ე.ი. თქვენ თორმეტი ხართ და მართლა კანონდარღვევა გამოდის.

– დიახ. ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ რეალურად, ჩემნაირი ოჯახისთვის რისკი ძალიან მაღალია, ვინაიდან ოჯახში, ერთ ჭერქვეშ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი ცხოვრობს. მე, ჩემი მეუღლე, შვილები და შვილიშვილები.

– არ არის საშუალება, რომ ერთდროულად ერთ ოთახში, ან ერთ სივრცეში არ იმყოფებოდეთ?

– ჩვენ ვცდილობთ, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ის რეკომენდაციები, რომელსაც ჩვენი ძვირფასი ეპიდემიოლოგები გვანვდიან, მაგრამ სხვათაგან არ გამოდის. გვინდა თუ არა ერთ ჭერქვეშ ვართ, ერთი საშუალოდ ვსარგებლობთ. ამიტომ გარკვეული რისკები მომატებული ნამდვილად არის.

თუმცა, მე ამ შემთხვევაში ყურადღებას სხვა რამეზე გავამახვილებ. მოგესვენებათ, 2018 წლიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა მრავალპილიანი მშობლის სტატუსი. მრავალპილიანი მშობლის სტატუსით მოსარგებლე მშობლები, რომლებიც ოთხი და მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში ასეთებდა ჩაითვებიან, სამწუხაროდ, არანაირი საშეღავათო პროგრამით არ სარგებლობენ, თუკი არ ირიცხებიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში.

ჩემი აზრით, მოცემული შემთხვევისთვის, როდესაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობს 10 და მეტი სული, არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს სოციალური სტატუსის, როდესაც არსებობს მრავალპილიანობის სტატუსი. გარკვეული სოციალური პროგრამები ჩვენს სასარგებლოდ უნდა მოქმედებდეს.

ელემენტარულად, ჩვენ 10-ჯერ მეტად ვართ რისკის ქვეშ მოქცეული ადამიანები, კორონავირუსით გამოწვეული ზიანის თვალსაზრისით, ვიდრე ნებისმიერი ორსულიანი და სამსულიანი ოჯახი. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არავითარი ნაბიჯები არ იღებება.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ღიად მივმართო მთავრობას და ვთხოვო, რომ მრავალპილიანის სტატუსით მოსარგებლე მშობლები გაათავისუფლოს საშემოსავლო გადასახადისაგან, თუკი ეს მშობლები დასაქმებულები არიან. ამ პრინციპის უზრუნველყოფით უზრუნველყოს სამართლიანობის აღდგენა.

– თქვენ 8 შვილი გყავთ, ხომ?

– 8 შვილი და ოთხი შვილიშვილი მყავს.

– მართლა ბევრი ხართ და ხელისუფლებამ ასეთი ოჯახების პრობლემები ყველანაირად უნდა გაითვალისწინოს. კორონავირუსმა მთელ მსოფლიოში შექმნა პრობლემები, ისევე, როგორც საქართველოში. დღეს ქვეყნის მთავარ პრობლემად რა მიგაჩნია?

– მთელი მსოფლიო განსაკუთრებული ფსიქოლოგიური სტრესის პირობებში ცხოვრობს. საქართველო ამ მხრივ გამოწვეული არ არის. რეალურად, მთელი მსოფლიო მოექცა ახალი მსოფლიო წესრიგის გავლენის ქვეშ და გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. საგანგებო მდგომარეობა დარეგულირდა შესაბამისი კანონმდებლობით, რომელმაც ადამიანები შეზღუდა სამოქალაქო უფლებებში. გარკვეული ვალდებულებები წარმოიშვა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რომელიც კანონით რეგულირდება. ამ ყველაფერმა შექმნა გარკვეული ჰუმანიტარული კრიზისების ფონი.

– შეიძლება აბას ადამიანის უფლებების დარღვევა ვუნდოდო?

– ამ ეტაპზე ლაპარაკია ადამიანის უფლებების შეზღუდვაზე, რომელმაც ჰუმანიტარული კრიზისის ფონი შექმნა.

– რას გულისხმობ?

– არის მთელი რიგი პროდუქტები, რომელთა ფასი 10-ჯერ, 12-ჯერ იცვრება და აჩანდა. რეალურად, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ბიუჯეტი ვერ გაიზარდა, რომ უზრუნველყოს ადამიანი კომპენსაციებით და სუბსიდებით აუცილებელი სურსათის შესაძენად.

კორონავირუსის პანდემია მსოფლიოში გაზაფხულზე გეაქვს, ხენა-თესვის პერიოდში, როდესაც, რეალურად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, სასოფლო-სამეურნეო პროგრამით გათვალისწინებული პროცედურებით ჩავატაროთ ხენა-თესვა. პრინციპი „სახ-



ლში დარჩი“, ფაქტობრივად, მიეღ რიგ რეგიონებში საზოგადოებას და ხალხს ბლოკირებულს ხდის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები განახორციელოს.

– ბევრს აქვს სოფელში მინა მოსახლეობა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები განახორციელოს.

– ბევრი ადამიანი უმუშევარი დარჩა, არ გააჩნია ფული და დამოკიდებულია მცირე დანაზოგზე, ან გარკვეულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე, რომელიც შეიძლება მხოლოდ 10 დღისთვის იყოს საკმარისი. ბაზრებში სათესლე კარტოფილი ალარი მოვება, რადგან ბაზრებიც დაიკეტა.

– რა პროგნოზი გაქვთ?

– როდესაც საუბარია იმაზე, რა ეჭაქით, რით გამოვიკვებით შემდგომ სეზონში, როგორი იქნება 2020 წლის შემოდგომა და 2021 წლის ზამთარი, რა პროგნოზები შეიძლება გაკეთდეს

თუ არა ის, რომ უკვე ჩანს, მომავალი ზამთარი იქნება ზამთარი შიმშილის, გაუსაძლისი პირობებით გათვალისწინებით ცხოვრების და ძალიან სერიოზული კრიზისების დაძლევისთვის მზადების პერიოდი.

– რა გეგმა უნდა დასახოს მთავრობამ, რომ პოსტიურულ პერიოდში კრიზისი დაიძლიოს?

– პირველი – იმისათვის, რომ დამშუული საზოგადოება არ აღმოჩნდეს ახალი სოციალური ექსპერიმენტების პირობებში, საქართველოს ბიუჯეტში უნდა განხორციელდეს ცვლილებები და საქართველოს დიდი ფინანსური გადანაწილდეს სოფლის მეურნეობის რეალური სექტორების განვითარებისთვის. პირველი რიგში უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის სრული აღრიცხვა და მისი რეესტრირება საქართველოს მასშტაბით, იქნება ეს კერძო საკუთრება თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული.

უნდა მოხდეს სასოფლო სამეურნეო სახნავი სავარგულების სრული რეესტრირება. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან გამოთხოვილი მონაცემების საფუძველზე, თუკი 2012-2013-2014 წლებში 32% იხვნებოდა, ბოლო წლებში 12-13%-ზე ჩამოვიდა. 807 ჰექტარიდან 206 ათასი იხვნებოდა.

საქართველოში უნდა განხორციელოთ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა. საქართველოში არსებული სუპერმარკეტების ქსელებში არსებული სასურსათო პროდუქტის 85% იმპორტირებულია. ამიტომ არ შეიძლება არ ვიფიქროთ საკუთარი სავარგულების ათვისებაზე. ეს არის ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამართლებრივ-ეკონომიკური აქტი. ამისთვის საჭიროა ხენა-თესვის პროგრამა იქნას სისრულეში მოყვანილი.

„პირუსთან ბრძოლაში მიღებული ღირებულებები მთავრობაზე უხად დააკარგოს“

დახაწვისი მე-3 გვერდზე

გასაგებია, რომ ხელისუფლება ცდილობს, კონტროლიდან არ გაუშვას ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მხოლოდ ამ მიმართულებით მიღებული შედეგი არ იქნება საკმარისი. ხელისუფლება მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. თუ ამ გამოწვევას ადეკვატურად არ უპასუხებს პანდემიის დაძლევის შემდეგ, ძალიან მძიმე დღეში აღმოჩნდება თავად ხელისუფლება და შეიძლება საკმაოდ საგანგაშო დღეებიც.

– ანუ უფრო დიდ ოპოზიციის მიიღებს, ვიდრე პოლიტიკური ოპოზიციის, მოქალაქეების, ამომრჩევლის სახით?

– რა თქმა უნდა! ერთ ნაშში გაიფანტება ეს

მოპოვებული პოლიტიკური დივიდენდები. „ქართული ოცნება“ კი არის დამიდებული, რომ ძალაუფლებას შეინარჩუნებს, მაგრამ არავინ იცის, არჩევნების შედეგები რა იქნება. ამიტომ, დღესვე არის სოციალური, ეკონომიკური მიმართულებით ნაბიჯები გადასადგმელი.

ამასთანავე, თავს იჩენს ფსიქოლოგიური დაძაბულობა, რაც გამოწვეულია მოსახლეობის შინაპატიმრობით. როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს აუცილებლად დატოვებს თავის კვალს ადამიანებში, ეს აუცილებლად ჰპოვებს ასახვას ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში. ამიტომ, ასეთ მცირე დეტალებსაც უფიქრებო მნიშვნელობა აქვს ასეთ დროს. კომპლექსური გააზრებაა საჭირო. ძალიან მძიმე პერიოდს გავვივართ ყველა ერთად.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუ როგორი იქნება ხელისუფლების მოქმედება სადაღდომო ლიტურგიასთან დაკავშირებით.

– უკვე გაჩნდა კრიტიკა, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორი არ არის. როგორც ჩანს, მთავრობასა და საპატრიარქოს შორის შეთანხმება არ არის მიღწეული.

– ხელისუფლებას არ უნდა მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა და ეს სრულიად გასაგებია. მე არ ვიტყვი, რომ მხოლოდ ხელისუფლება დგას დილემის წინაშე. დილემის წინაშე დგას საპატრიარქოც. ლმერთმა ნუ ეწას, პატარა ტაძრის მცირე მრევლსაც კი რომ გაჩნდეს ვირუსი, ეს მთლიანად დაარტყამს საპატრიარქოს. ეკლესიაც ფრთხილად უნდა იყოს. თუ ისეთი შეცდომა იქნება

დაშვებული, რომელმაც შეიძლება რწმენას დაარტყას, ეს იქნება დარტყმა არა მხოლოდ მთავრობაზე, არამედ, პირველ რიგში, თავად საპატრიარქოზე.

– ანუ საპატრიარქოც ბენვის ხიდზე გადის?

– საკმაოდ! რადგან ეს შეიძლება ბევრი მიმართულებით იყოს გამოყენებული.

– რაში ხედავთ გამოსავლს?

– პოლიტიკურმა სახელმწიფო, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ, ერთობლივი განცხადება უნდა გააკეთოს და მიმართოს საპატრიარქოს. ეს ბევრად უფრო ეფექტური იქნება.

არის საკითხები, როდესაც პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ერთიანობა და თანხმობა საჭიროა.



გლდანი-მუხიანის გზაზე ერთმანეთს 2 მანქანა შეჯახდა

დაშავდა ორსული ქალი

ორი ადამიანი, მათ შორის ორსული ქალი დაშავდა ავტოავარიის შედეგად თბილისში. გლდანი-მუხიანის გზაზე ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა. ერთ-ერთი ავტომობილის მძღოლის მდგომარეობა მძიმეა. დაზარალებულები სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებმა ლუდუშაურის კლინიკასა და ქირურგიის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანეს.

ადგილზე პოლიციასა და მედიკოსებთან ერთად მოხილვებული იყვნენ მსხველმცემელი თვითმხილველების ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაციმ საჭე ვერ დაიმორჩილა.

ახემათი კასი მაშინ დაიღვრა, როცა ფრინველების დახმარებას სდილობა



უბედურ შემთხვევას ახეტის მუნიციპალიტეტში შუახნის კაცი ემსხვერპლა. ინციდენტი სოფელ არგოში მოხდა. ადგილობრივების ინფორმაციით, მინდორში მყოფი კაცი ფრინველების დახმარებას ცდილობდა, თუმცა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად თავად გარდაიცვალა. მათივე ვარაუდით, იარაღი მოძველებული და მწყობრიდან გამოსული იყო. გამოძიება 115-ე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუსლით დაინსო.

ფოთში სახლი ჩამოინდობა

2 მამაკაცი დაშავდა



გუშინ, 13 აპრილს, ფოთში, სიმაღლიდან ჩამოვარდნის გამო ორი მამაკაცი დაზიანდა. შემთხვევა იმერეთის ქუჩაზე მდებარე კერძო საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის აივნის მოაჯირის ჩამოვარდნამ გამოიწვია.

ადგილზე გამოცხადებულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადამ მათ პირველადი დახმარება გაუწია და ტრავმირებული მამაკაცები ქობულეთის კლინიკაში გადაიყვანა.

ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას დახვდა ორი დაზარალებული, რის გამოც საჭირო გახდა მეორე ეკიპაჟის გამოძახება. ერთ მამაკაცს აღენიშნებოდა ქალა-ტინის დაზარალებული ტრავმა და მრავლობითი დაზიანებები, მეორეს კი მხოლოდ კოჭ-წვივის ტრავმა. ორივეს ადგილზე გაენია დახმარება და გადაყვანილ იქნენ ქობულეთის მრავალპროფილურ კლინიკაში, - განაცხადა ფოთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მენეჯერმა კესო გელენიძემ.

ლაგოდეხში კმისპვილმა ბიკა მოკლა

გუშინ, 13 აპრილს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ მსხალგორში მკვლელობა მოხდა. არსებული ინფორმაციით, მძის-სვილმა ურთიერთშეღაცარაკების ნიადაგზე ნაჯახით ბიკა მოკლა. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, შუახნის მამაკაცი მარტოხელა იყო და მას მძისპვილი სტუმრობდა ხოლმე. რა გახდა მკვლელობის მოტივი, ამ ეტაპზე უცნობია.



ირაკლი ოქრუაშვილს 5 წელი მიესაჯა

პროკურატურა სასჯელს გაასაჩივრებს

20 ივნისის საქმეზე ბრალდებული თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლავრენტი მალაქელიმ გუშინ, 13 აპრილს, გამოაცხადა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, ირაკლი ოქრუაშვილი ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობის ნაწილში გამართლდა, თუმცა, ის ჯგუფური ძალადობის მონაწილეობაში დამნაშავედ ცნეს.

„2020 წლის 13 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითად განხილვის კოლეგიამ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვა ე. წ. 2019 წლის 20-21 ივნისის საქმეზე, ბრალდებულ ი. ო.-ის მიმართ. სასამართლომ გამოკვლეული მტკიცებულებებით, არ გაიზიარა 2019 წლის 20-21 ივნისის რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე ბრალდებულის მიერ ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობა და ი. ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა. ბრალდებული ი. ო. დამნაშავედ იქნა ცნობილი ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობისათვის, რასაც თან ახლდა ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა. გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა“ - ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ირაკლი ოქრუაშვილის ადვოკატის, მამუკა ჭაბაშვილის განცხადებით, თუ ოქრუაშვილის გათავისუფლება უახლოეს დღეებში უნდა, ამის ბერეკეტი მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისი შეწყობაა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში მამუკა ჭაბაშვილი განმარტავს, ამ ეტაპზე მისთვის უცნობია, მიმართავს თუ არა თავად ირაკლი ოქრუაშვილი სალომე ზურაბიშვილს შეწყობის მოთხოვნით.

– თუ უნდა, რომ უახლოეს დღეებში, თუ თვეებში ირაკლი ოქრუაშვილი გამოუშვან და იქამდე საპატივდელი სასამართლოს გადაწყვეტილება ვერ მოესწრება, მაშინ პრეზიდენტის შეწყობა რჩება. მიმართავს თუ არა, პრეზიდენტს შეწყობის მოთხოვნით, ეს ირაკლის გადასაწყვეტია, თუმცა, პრეზიდენტს მიმართავს არ სჭირდება, ისე შეუძლია მას პატიმრის შეწყობა, - განაცხადა ჭაბაშვილმა.

ჭაბაშვილმა ჟურნალისტებთან მოსამართლის გადაწყვეტილებაზე შეაფასა და აღნიშნა, რომ განაჩენის გამოტანისას სასამართლო კანონს არ დაყრდნობია.

– ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდება ორი ნაწილისგან შედგებოდა, მას ძალადობის ხელმძღვანელობასა და მონაწილეობას ედებოდა. ხელმძღვანელობაში ის მოსამართლემ გაამართლა, მონაწილეობაში გაამტყუნა.

იმ კადრებში, რაც თქვენ ნახეთ, ასობით



ადამიანი იყო და მაინცდამაინც ირაკლი ოქრუაშვილი გამოაჩივრებს და სასამართლომ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ნამეტანი გამოვიდოდა, ხელმძღვანელობაშიც რომ გაემტყუნებინა. რა კადრებიც მთელ საქართველოს აქვს ნახა, ის სასამართლოში რამდენიმე პოლიციელმა გაიმეორა, ისინი ჰყვებოდნენ, რომ ირაკლი ოქრუაშვილი იქ იყო და ხალხის მასა რომ გვანებებოდა, მათ შორის იყო ოქრუაშვილიც, სხვა არაფერი არ უთქვამთ, არც ბრალის დადგენილებაში წერია, რომ ირაკლი ვინმეს ფიზიკურად შეეხო.

მე ვთვლი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში კანონი არაფერ შუაში არ იყო, არც მისი დაკავების დროს და არც ახლა, განაჩენის გამოტანისას. ბუნებრივია, გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ, მაგრამ ძალიან დიდი მოლოდინი არ მაქვს, რომ აპელაციაში განაჩენი შეიცვლება. როცა პოლიტიკა უფრო წინ არის, ვიდრე სამართალი, ალბათ, მეტი სხვა გარემოებებმა უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი, - განაცხადა ჭაბაშვილმა.

სხვა მოსაზრება აქვს ირაკლი ოქრუაშვილის საქმის პროკურორ ვაჟა თოდუას.

მისი განცხადებით, სასამართლომ 20-21 ივნისის ღამეს დაახლოებით 30-კაციან ჯგუფს მართავდა და მათ საქართველოს პარლამენტში შეჭრისკენ მოუწოდებდა. როგორც სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ვაჟა თოდუამ ჟურნალისტებს განუცხადა, დასაბუთებული განაჩენის ჩაბარების შემდეგ, პროკურატურა სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს, ვინაიდან საქმეში ირაკლი ოქრუაშვილის მიერ ჯგუფური მოქმედების ორგანიზების დამადასტურებელი მტკიცებულებები არსებობს.

– სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია და ჩვენ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები გაიზიარა. სასამართლომ ირაკლი ოქრუაშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობას გუ-

ლისხმობს. მას სასჯელის სახით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

რაც შეეხება ჯგუფური მოქმედების ხელმძღვანელობას, რაც ირაკლი ოქრუაშვილს ასევე ბრალად წარდგენილი, გამართლდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ მტკიცებულებები არასაკმარისად იყო წარდგენილი.

ბრალდების მხარის პოზიცია დამოკიდებული იყო სასამართლოში გამოკვლეულ მტკიცებულებებზე, რითაც დასტურდებოდა, როგორც ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა, ასევე მისი ხელმძღვანელობა. არაერთი მონმე ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ ირაკლი ოქრუაშვილი დაახლოებით, 30-კაციან ჯგუფს მართავდა, მოუწოდებდა მათ საქართველოს პარლამენტში შესულიყვნენ, ამის დამადასტურებელი არაერთი ვიდეოჩანაწერი გამოვიკვლიეთ, ასევე გამოვიკვლიეთ დასკვნა, რომლის მიხედვით ირაკლი ოქრუაშვილი დროის იმ მონაკვეთში ამბობს ფრაზებს – „წავიდეთ, წავიდეთ“, როცა საქართველოს პარლამენტზე შტურმი სორციელდებოდა.

აღნიშნული მტკიცებულების შინაარსიდან გამომდინარე, ჩვენ დავულოდებთ სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, გავეცნობით და შემდეგ გავასაჩივრებთ.

პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი დაიკითხა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი პოლიციის კორდონთან, დაახლოებით, 30 ადამიანთან ერთად მივიდა, მათ მართავდა და მოუწოდებდა, რომ პოლიციის კორდონი გაერღვიათ. როგორც უკვე მოგახსენეთ, აღნიშნულის ვიდეომასალაც და დასკვნაც არსებობს, - განაცხადა პროკურორმა თოდუამ.

ირაკლი ოქრუაშვილი 20 ივნისის საქმეზე სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, რაც ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობასა და მასში მონაწილეობას გულისხმობს. ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობა 6-დან 9 წლამდე, მასში მონაწილეობა კი 4-დან 6-წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 104 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომპენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სასამართლოდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომპენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 104 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 12 აპრილის 21 საათიდან 13 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომპენდანტის

საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 73 მოქალაქე დააჯარიმა.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების შეზღუდვის და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუხვედლობის გამო, სულ 16 მოქალაქე დააჯარიმა.

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შეზღუდვების დარღვევის ფაქტზე დაჯარიმდა 4 ფიზიკური პირი.

პოლიცია დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად განაგრძობს თვითზოლაციაში მყოფი მოქალაქეების მკაცრ კონტროლს. ერთობლივი მონიტორინგის შედეგად, თვითზოლაციის წესების დარღვევის 2 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 9 პირი დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის ფაქტზე დაჯარიმების წესები.



მარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმის და დამორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის - 15.000 ლარით.

პოლიცია ხაზურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურში საკარანტილო რეჟიმის აღსრულებას უზრუნველყოფს

უნწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მალალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებულ მკაცრ საკარანტილო შეზღუდვებს ხაზურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისყურში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში, საგანგებო რეჟიმში გააკონტროლებენ. საკარანტილო პირობები სოფელ ხიდისყურში მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვასაც ითვალისწინებს. სოფლის შესასვლელსა და გასასვლელში მონყობილია საკონტროლო გამწვები პუნქტები.

პოლიცია ადგილობრივ მოსახლეობას საკარანტილო შეზღუდვებს განუმარტავს და, საჭიროების შემთხვევაში, მაქსიმალურად დაეხმარება.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დამორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.



ლუკაშენკო: „ბელარუსში „სუფთად“ კორონავირუსით არავინ დაიღუპა!“

ბელარუსის პრეზიდენტის, ალექსანდრე ლუკაშენკოს თქმით, ქვეყანაში „სუფთად კორონავირუსით“ არც ერთი ადამიანი არ დაღუპულა და არც დაიღუპება.

მისივე თქმით, ადამიანები, რომლებიც გარდაიცვალნენ, სხვა მიზეზით დაავადებებით ავადობდნენ.

– ისინი ყველა მოკვდა ქრონიკული დაავადებების ერთობლივობით. ჯანდაცვის სპეციალისტებმა ეს იცან, ეს ნახეს. ამ ადამიანებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, სუნთქვის უკმარისობა და შაქრიანი დიაბეტი ჰქონდათ ერთად და კიდევ ისეთი დიაგნოზები, რომ ნაკითხვაც კი არ შემოიძლია – ამ ყველაფერს დაემატა კორონავირუსი.

ჩვენს ქვეყანაში კორონავირუსით არავინ დაიღუპება. ამას საჯაროდ ვაცხადებ. მე ამაში



ღრმად ვარ დარწმუნებული, – დასძინა ლუკაშენკომ.

13 აპრილისთვის ბელარუსში კორონავირუსის 2.919 შემთხვევა იყო გამოვლენილი. ვირუსს ქვეყანაში 29 ადამიანი ემსხვერპლა.

რუსეთი, აშშ და საულის არაბეთი ოპიუმის ქვეყნების შეთანხმებას მხარს უჭერენ



აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი, რუსეთის ლიდერი პუტინი და საულის არაბეთის მეფე სალმანი ოსალინი-რეჟიმში ერთმანეთს დაუკავშირდნენ.

საუბარი ძირითადად ნავთობზე ფასების გარშემო წარმოებდა.

ოპიუმის ნეკრი ქვეყნები ნავთობის მოპოვების რეკორდულ შემცირებაზე შეთანხმდნენ. პუტინმა, ტრამპმა და სალმანმა ამას მხარი დაუჭირეს.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ნავთობზე ფასები მაინც დაბალი იქნება, რაც რუსეთის ეკონომიკას ძლიერ დარტყმას მიაყენებს.

პუტინი: „რუსეთში ვითარება დღითიღა რთულდება“

– კორონავირუსთან დაკავშირებული ვითარება რუსეთში იცვლება, მაგრამ არა უკეთესობისკენ.

ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, ვიდეომიმართვის დროს განაცხადა.

– რუსეთის ფედერაციაში ვითარება დღითიღა იცვლება, მაგრამ არა უკეთესობისკენ. პაციენტების მდგომარეობა მძიმდება. უახლოესი კვირები ბევრ რამეს განსაზღვრავს ქვეყანაში. მთელი ჯანდაცვის სისტემა უნდა მუშაობდეს, როგორც ერთიანი მექანიზმი, – აღნიშნა პუტინმა.

მისივე თქმით, მთავრობა სიტუაციის ყველაზე რთულ ეტაპზე გადასვლას განიხილავს.

– აუცილებელია ყველა სცენარის განხილვა, თვით ყველაზე რთულის და არაორდინალურის, იმისათვის, რომ მოქნილად, დაუყოვნებლივ შეცვალოთ ჩვენი მოქმედებების სტრატეგია და ტაქტიკა, – დასძინა პუტინმა.

რუსეთში კორონავირუსით ინფიცირებულითა რაოდენობა ყოველდღე იზრდება. 13 აპრილს ქვეყანაში კორონავირუსი 2.558 ადამიანს დაუდასტურდა, რითიც ინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ 18.328-ს მიაღწია.

ესპანეთმა შეზღუდვების მოხსნა დაიწყო

ესპანეთმა, რომელიც კორონავირუსის პანდემიისგან ერთ-ერთი ყველაზე დაზარალებული ქვეყანაა, გუშინ, 13 აპრილიდან, გარკვეული შეზღუდვების მოხსნა დაიწყო.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განმარტებით, სამსახურში გასვლას შეძლებენ მშენებლები, მწარმოებელი ქარხნებში დასაქმებულები და კიდევ რამდენიმე სერვისის თანამშრომლები.

– ჩვენ გამარჯვებისგან ჯერ კიდევ შორს ვართ, შორს ვართ იმ მომენტისგან, როცა ნორმალური ცხოვრება დაბრუნდება. ყველას გვინდა ქუჩებში გასვლა, მაგრამ ჩვენი სურვილი, რომ ეს ომი მოვიგოთ, უფრო ძლიერია, – განაცხადა სანჩესმა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება კატალონიის რეგიონული მთავრობა. ადმინისტრაციის მეთაურის, ქიმ ტორას



თქმით, არსებობს „დიდი რისკი ეპიდემიის ხელახალი აფეთქებისა“.

ფაუჩი: „კარანტინიდან გამოსვლა ნელ-ნელა უნდა მოხდეს!“



პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ 1 მაისიდან აშშ ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება.

პრეზიდენტის მრჩეველი და ნამყვანი ამერიკელი ეპიდემიოლოგი ენტონი ფაუჩი ამას კატეგორიულად არ დაეთანხმა.

– საკარანტინო რეჟიმებიდან ნაქარვე გამოსვლა არანაკლები რისკია, ვიდრე კორონავირუსის ეპიდემია, – თქვა მან.

ფაუჩის აზრით, კარანტინიდან გამოსვლა ნელ-ნელა უნდა მოხდეს, ისე, რომ ამან კორონავირუსის ეპიდემიის ახალი აფეთქება არ გამოიწვიოს.

მიამზადა ნიკა თევზაძემ

ქაჩაბა სოლს შეუღებუნა და დაღუპვას გადაარჩინა

ინგლისის უესტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ ბრადფორის მკვიდრმა საკუთარი მეუღლის სიცოცხლე გადაარჩინა, როდესაც მოფერების დროს მკერდში სიმსივნე აღმოაჩინა.

34 წლის ფიტნესინსტრუქტორმა ები ოტუემ განაცხადა, რომ მისმა 29 წლის მეუღლემ მკერდზე სიმსივნე იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც ძილის წინ შეუღლდნენ. როდესაც ის საწოლიდან წამოდგა, სიმსივნის პოვნა თავად ვერ მოახერხა.

ქალმა სამედიცინო დახმარებას მიმართა, მაგრამ, სიმსივნე იმდენად მცირე ზომის იყო, თავდაპირველად ის ვერც ექიმებმა იპოვეს. მოგვიანებით მათ მაინც მოახერხეს ექვსი მილიმეტრის დიამეტრის სიმსივნის პოვნა. როგორც გაირკვა ოტუეის ონკოლოგიური დაავადების მეორე სტადია ჰქონდა. სიმსივნე ქალს ისე მოაშორეს, რომ ქიმიოთერაპიის ჩატარება არ დასჭირდა.

ოტუეი ფიქრობს, რომ ქმარმა მისი სიცოცხლე გადაარჩინა, ვინაიდან, ის რომ მარტო ყოფილიყო, სიმსივნეს მხოლოდ მაშინ აღმოაჩენდა, როდესაც უკვე ძალიან დაგვიანებული იქნებოდა.



სპორტსმენი: „დაამიანების სასიკვდილოდ განიკვამოდა სთონობა უფლის წინაშე?“

კითხვობს სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელი, დირიჟორი სვიმონ ჯანგულაშვილი:

– უბრალოდ, 2 შეკითხვას დავესვამ. ძალიან მარტივი შეკითხვებია, ყოველგვარი პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი ქვეტექსტების გარეშე.

1. რა სინდისით ამტკიცებს ზოგიერთი ადამიანი, რომ ეკლესიას ემტყვიან და ქრისტეს აშორებენ?

ელემენტარული რაღაცა – ეს ვირუსი არ ჩანს 7-20 დღის განმავლობაში და ამასობაში შეიძლება სხვებს გადასდეს. ამის გამო, უნდა ვიყოთ სახლში. მეტი მიზეზი არაა. ამ მიზეზის სანაწინააღმდეგო ჯანსაღი რელიგიური და თეოლოგიური არგუმენტი არ არსებობს ბუნებაში. ქრისტიანი ვალდებულია გაუფრთხილდეს სხვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და ამისთვის ხან აზვირთულ ზღვაში და ცეცხლსაქივებულ შენობაში უნდა შედარდეს და ხან უნდა იჯდეს სახლში, რომ არ გახდეს ვირუსის უნებლიე გადამტანი.

როდესაც რეალობის ლოგიკურ ანალიზს არ ვაკეთებთ და რიგი გარემოების გარეგნული მსგავსების გამო, რომანტიკულად ვამსგავსებთ ჩვენს თავებს ქრისტიანობისათვის დევნილ წარსულ თუ აპოკალიფსის პერიოდის მოწამეებს, ამას ხიზლი ჰქვია და ქრისტიანობის თამაში.

2. სამებაში რამდენიმე გუნდია – მათგან ზოგში 3-4 კაცია, ზოგში 7-9, ჩვენთან – 40. არც 3 კაცია დაზღვეული და არც – 40. ჩვენ მთელი გუნდი არ დავდივართ მსახურებაზე. ვიდრე დაგვიბარებს ეკლესია, ჩვენ ვალდებული ვართ ვიაროთ, ამიტომ მცირე ნაწილი მივიდევართ და ვივლით, რადგანაც ეს ჩვენი მოვალეობაა და ყველაზე მეტად გვიყვარს.

თუნდაც 3 კაცი იყოს გუნდიდან, შემთხვევით რომ გადავდოს ვიღაცისგან მათ ეს ვირუსი, ან მათგან რომელიმე რომ ჰქონდეს და თანამგალობლებს ან მრევლს, ან სასულიერო პირებს გადასდეს, აი, ამაზე ვინ იღებს პასუხისმგებლობას? მერე რომელიმე მათგანი რომ დაიღუპოს, ჯანმრთელობა დაეგრეს, ან მათი ოჯახის რომელიმე წევრი დაიღუპოს იმის გამო, რომ ჩვენ რეგულარულად დავდივართ ნორვაზე და შეიძლება ვირუსი ნავივით სახლში, აი, ამაზე ვინ იღებს პასუხისმგებლობას? ან სხვა ტაძრების მგალობლებს რომ შეეძინებოდათ იგივე, პატრონი ვინ გვყავს, პასუხისმგებელი ვინაა? რომელიმე მრევლი, რომელიმე მღვდელი, რომელიმე მღვდელთმთავარი, რომელიმე მონაზონი, ან საპატრიარქოს რომელიმე თანამშრომელი გააცოცხლებს დაღუპულ ადამიანს?

ზოგი ადამიანი გულწრფელადაა მიხედობილი რწმენას და სწამთ სასწაულის. მაშინ, რატომ არ ილაკებენ ისინი, რომ ერთ წამში, შეყვებულად ალაგდეს ვირუსი? რატომ არ ახდენენ ისეთ სასწაულს, რომ არ დაიღუპონ ადამიანები ამ ვირუსისგან? რატომ არ ლოცულობენ, რომ რუსის ჯარმა დატოვოს აფხაზეთი და სამაჩაბლო და საქართველო გაერთიანდეს ტაო-კლარჯეთიდან საინგილომდე და სოჭიდან ლორემდე? ასეთი რწმენა თუ აქვთ, რომ სასიკვდილოდ სენი არ მოერევთ, მაშინ, რატომ არ შევლიან სხვა გან-

საცდელს ჩვენი ქვეყნისა?

შესმის, რომ სასულიერო პირებს გადამწყვეტილი აქვთ, რომ თავი გადასდონ და ჯვარზე ავიდნენ, მაგრამ, მათ ამასობაში შეიძლება სხვებს გადასდონ ეს სასიკვდილო ვირუსი, ან მათ მიერ დაბარებულმა მრევლმა, ჩოხოსნებმა, სტიქაროსნებმა, მედავითნეებმა, მნათეებმა, მგალობლებმა გადასდონ ერთმანეთს და სხვებს.

და ადამიანების სასიკვდილოდ განიკვამოდა სთონობა უფლის წინაშე?

გარანტია იმისა, რომ ტაძარში ვირუსი არ გავრცელდება, ან ტყვია არ მოგვკლავს, არ არსებობს. სასიკვდილო საფრთხისგან დაცვა ტაძარს და წმიდა საიდუმლოებს მხოლოდ განსაკუთრებულ, გამოჩენილი შემთხვევებში შეუძლიათ. ამ შემთხვევებს სასწაული ჰქვია.

მთელი ცხოვრება ეს მესმის ეკლესიაში, რომ სასწაული არ უნდა ექნება და ადამიანი და ღმერთი ისეთ მდგომარეობაში არ უნდა ჩააყენოს სპეციალურად, რომელშიც ადამიანთა შევლა და გადარჩენა მხოლოდ სასწაულს შეუძლია. თანაც, არ არსებობს გარანტია იმისა, მოხდება თუ არ მოხდება სასწაული.

ყველა ვიცით, რომ კახი კავსაძეს, ჩვენს სახელოვან მსახიობს, სასიკვდილო სენი ჰქონდა და ის უნებლად პატრიარქთან დაკავშირებული სასწაულით განიკურნა. სასწაულით ნამდვილად ხდება და ჩემს ცხოვრებაშიც მომხდარა სასწაულები, მათ შორის, პატრიარქს და სხვა სასულიერო პირთა ლოცვასაც მოუხდენია სასწაულები, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ ზოგჯერ და როდის და რატომ ხდებოდა ეს სასწაულები, არავინ არ ვიცით. შეუცნობელია გზანი უფლისა.

ის, რომ კახი კავსაძე განიკურნა, ღმერთმა დიდხანს გვიმყოფოს, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ყველას, ვისაც სასიკვდილო სენი აქვს, სიმსივნე ან სხვა მსგავსი, ვუთხროთ, მედიკოსებს არ დაემორჩილო და ტაძარში და პატრიარქთან იარე და განიკურნებო? ზოგს ევლინება სასწაული და ზოგს – არა. ეს უფლის იდუმალი განგებულების საქმეა! ჩვენ კი, ვინც ვალიანებით, რომ უბრალო და ცოდვილი ადამიანები ვართ, თან უნდა ვიმკურნალოთ და თან უნდა ვვედვროთ უფლს, რომ გვიშველოს. როდესაც ექიმს გვეცხვის, ლოგინში იყავი, რომ დაავადება არ გავდებოდა, ან არ გადავდებოდა, ჩვენ ვალდებული ვართ დაუფუკვროთ და არა ნორვაზე გავიქცეთ, ნაოპერაციები, ან სიცხიანები, ან პოტენციურად ვირუსებიანები.

მაღაზიაში ხომ დადიხართ და გეტყობთ არ გინდათ. მაღაზიაში 10 წუთი შედის და ყიდულობს საჭმელს. რომ არ ნახვიდე, შიმშილით მოკვდები. ეკლესიაში რომ არ ნახვიდე 3-4 თვე და სახლი ილოცო, აშკარად არ მოკვდები. კი, სულიერად, ემოციურად და იტანჯები თუ ძალიან მორწმუნე ხარ, ძალიან მოგენატრება ეკლესია, ნორვა-ლოცვა თუ გიყვარს. მაგრამ იმის შეგრძნება, რომ შენ ამ ტკივილს იტან იმიტომ, რომ სხვა ადამიანები, შენი მოყვასი იმდენად ვირუსის გავრცელებისგან, გაგაძლიერებს და მოთმინების ძალას მოგცემს. მაღაზიაში კი აუცილებლად უნდა ნახვიდე იმიტომ, რომ საჭმელი მხოლოდ იქ იშოვება. ღმერთის მაღლი კი ყველგანაა და განსაკუთრებით მასთან, ვისაც საკუთარი მისწრაფებების დროებით დათმობა, მოყვასისთვის თავგანწირვა და მოთმინება შეუძლია.

ამიტომ, მგონია, რომ გამოსავალი ისაა, რომ მრევლი, მათ შორის ჩოხოსნები, სტიქაროსანთა შეყვარებულები და მგალობელთა ცოლები, იყოს სახლში და ტელევიზიით და სულიერად შეუერთდეს ღმერთსა და მრევლს.

წირვისთვის გარდაუვალად საჭირო ადამიანები კი, მათ შორის მგალობლებიც გავიშვებოდა ტაძარში, დისტანციას დავიცავდით და საფრთხე აღარ შეგვექმნებოდა ვირუსის გადაცემის.

ყველა მგალობელს ძალიან გვინდა, რომ ვიგალობოთ ვნების კვირაში და აღდგომას და მგონია, რომ ამისთვის სჯობს, მრევლმა სახლებიდან იდგეს სასწაულო.

ეს ეპიდემია ღმერთმა დაუშვა და უნდა მივიღოთ, როგორც ეპიტიმია.

მიამზადა ეკა ირემაშვილმა

განსხვავებები

● ვაქცირავენ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტთა გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობით დაავადებული მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორეი“, რომელიც ანესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სექსობრივად უღელურ მამაკაცებშიც „ერექტორეის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

მიამზადა კანა ნატიაშვილმა



ბარსელონაში არაულობაა — როუსაული ბართომეუს აღნაშაულებს

ხოსე ბართომეუს თავის გაიტანა და ბარსელონა 6-მა დირექტორმა დატოვა — გათავისუფლების შესახებ განცხადება შეიტანეს და კლუბსაც დაემშვიდობნენ: ემილი როუსაული, ენრიკე ტომბასი, სილვიო ელიასი, ჟოზეპ პონტი, მარია ტეინილორი და ჟორდი კალსამილია.



მათი ნასვლის შემდეგ, საბჭო 19 ნევრიდან, 13-მდე შემცირდა. ექვსივე დირექტორმა, საერთო გამოსამშვიდობებელი წერილი გამოაქვეყნა.

როუსაულიმ ესპანურ მედიაში ბართომეუს მიმართ იმედგაცრუება აღიარა.

როგორ გრძობთ თავს, ამ გიჟური საათების შემდეგ?

— ცოტა არ იყოს ნაწყენი ვარ, მაგრამ ჯანმრთელობას არ ვუჩივი, კარგი ოჯახი მაქვს და ნუნუნს არ ვაპირებ, ყველაფერი კარგად არის.

რა შეგატყობინათ ბართომეუს სიტყვების შესახებ?

— მის ზარს არ ველოდი, ხანდახან მივხატავ ხოლმე, მაგრამ არსებულ კონტექსტში მის ზარს ნამდვილად არ ველოდი. მან მითხრა, რომ ცვლილებები სურს და კარგი იქნება, თუ თანამდებობას დატოვებ. ვუპასუხე, რომ გავკვირვებული ვიყავი და ვიხსენებ დასახელებსა მიზეზები იმისა, თუ რატომ მითხოვდა პოსტის დატოვებას. მან 2 მიზეზი დამისახელა: ერთი, რომ ჟურნალისტებთან ფეხბურთელებს ვაკრიტიკებდი, რაც სრული აბსურდია, ამის მერე კი მთელი სისულელეც მოაკაოლა, თითქოს ჟურნალისტებთან ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს ვაკრიტიკებდი. ვუთხარი, რომ ყველა კლუბში არიან მაღალკვალიფიციური და შედარებით სუსტი თანამშრომლები, მაგრამ ჩვენი გუნდის მუშაობა და მართვის დონე საკმაოდ მაღალი იყო. მან მითხრა, რომ თანამდებობა დამეტოვებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამაქვეყნებდა. და ეს იქიდან გამომდინარე, რომ ჩემი გაგვების უფლება არ აქვს. ძალიან გაბრაზებული ვიყავი, რომ ძალიან სამწუხარო იყო, ჩვენი ურთიერთობა რომ აქამდე მივიდა. მგონია, რომ ამისთვის შეუფერებელი დრო იყო, ვუთხარი, რომ მის წინადადებაზე ვიფიქრებდი.

მივხატე. თუ ჩვენ ტიტულები ვერ მოვიგებთ და ფინანსური მდგომარეობა ვერ გავაუმჯობესებთ, არაფერს აზრი არ ექნება. არ მომეწონა, როდესაც პრეზიდენტმა ასევე მოითხოვა ენრიკე ტომბასის, ჟოზეპ პონტის და სილვიო ელიასის გათავისუფლება. ყველა მათგანი დიდებულად ერეკვეა ფინანსებში და ასეთ დროს მათი გათავისუფლება ძალიან ცუდი ნაბიჯია.

რატომ არის ბარსელონა ასეთ მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში?

— ეს არ არის კითხვა პრეზიდენტთან, ამ კითხვით ფინანსისტებს უნდა მიმართოთ. ასევე ნინა ხელმძღვანელობის მმართველებს, რომლებმაც სამოქმედო გეგმა განსაზღვრეს. მართალია, რომ ჩვენი შემოსავლების უდიდესი ნაწილი ფეხბურთელების ხელფასებში მიდის, მაგრამ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ ბარსელონა არის კლუბი, რომელსაც უამრავი თანამშრომელი ჰყავს და ძალიან დიდი ინფრასტრუქტურა გააჩნია. ჩვენ ძალიან დიდი კლუბი ვართ, რაშია პრობლემა? თუ სარეზერვო ფონდი არ გვაგაჩნია, შემოსავლების კლებასთან ერთად, ვერანაირად ვერ შეძლებ ანგარიშის გასწორებას. რამდენიმე ფეხბურთელი კრედიტით შევიძინეთ, ამიტომ ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია. გეგმას ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივყვეთ, ეს მოდელი ძალიან ჰგავს მადრიდის რეალის, ბილბაოსა და ოსასუნას ფინანსურ მოდელს. თუ ჩვენ დავკარგავთ შემოსავლებს ბილეთებიდან, მუზეუმიდან, ტელევიზიებიდან, სპონსორებისგან, მაშინ ფული არაფერში აღარ გვეყოფა. ძალიან შეზღუდული შესაძლებლობები გვაქვს, მაგრამ ამაში ხელმძღვანელობის დადანიშნულება არ შეიძლება. უბრალოდ არავინ ელოდა იმას, რაც მოხდა.

შესაძლებელია თუ არა, რომ სეზონი, 100 მილიონის გარღვევით დაასრულოთ?

— წინასწარ ამის თქმა შეუძლებელია. ეს მრავალ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, წინ რა გველის.

რატომ ახლა?

— ყველაზე მეტად სწორედ ეს არ მომსწონს. ახლა არ არის იმის დრო, რომ ვინმემ თანამდებობის დატოვება მთხოვოს. ეს მხოლოდ პირისპირ შეხვედრისას უნდა ხდებოდეს. კლუბი ჯერ გაჩერებულია, არანაირი აქტიუობა არ მიმდინარეობს. ამის დროს ნამდვილად არ იყო. შესაძლოა, ამას ჰქონდეს კონკრეტული ასხნა, მაგრამ ჯერ არაფერი ვიცო.

ხომ არ იყო დირექტორთა საბჭო შეცდომაში შეყვანილი, იმ სკანდალთან დაკავშირებით, რომელიც მცირე ხნის წინ მოხდა?

— მე ეს საქმე გამოვიძიე და გარწმუნებთ, რომ ხელმძღვანელობამ ბოტების შესახებ არაფერი იცოდა.

იქნება რეფერენდუმი სტადიონის და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციის თაობაზე?

— თუ იქნება, მოგვიანებით, არ ჩვენებამდე მცირე ხნით ადრე. თუ რეფერენდუმი ჩატარდა და რეკონსტრუქცია გადაწყდა, აუცილებელია, რომ კლუბის სათავეში იყოს ის, ვინც ამ გეგმას წარადგენს.

ვიხილავთ ემილი როუსაულის საპრეზიდენტო კანდიდატურას?

— არ ვიცი, შევხვდით. როდესაც ბართომეუს შევხვდი 2015 წელს, მე კანდიდატურა მის სასარგებლოდ მოვსახენი. საქმე ის არის, რომ მე არ ვარ ისეთი ცნობილი კანდიდატი, როგორც ჟოანა ლაპორტა, ვიქტორ ფონტი ან ბენედეტო. შესაძლებელია, არაფერს გამოვიცხადებ.

ვლადიმირ ვაისი ხანგრძლივმოქმედი კონტრაქტის მფლობელი მწვრთნელის ათაუღია

ნაკრებში მომუშავე მწვრთნელიდან ყველაზე დიდხანს თანამდებობაზე იოაჰიმ ლიოვიცა. გერმანელმა სპეციალისტმა პირველობა მას შემდეგ ირგუნა, რაც ოსკარ ტაბარესი ურუგვაის ნაკრებს აღარ წვრთნიდა.



გამოქვეყნდა ეროვნული ნაკრებების მთავარი მწვრთნელების სია მთელს მსოფლიოში — ვინ მუშაობს ყველაზე დიდხანს მოქმედ სპეციალისტებს შორის?

პო, მონივრულ ათაუღში საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვლადიმირ ვაისიცი არის. სლოვაკ სპეციალისტს კონტრაქტის ვადა 31 მარტს უსრულდება (ეს სია 1 აპრილის მონაცემებით არის), მაგრამ მსოფლიოში გავრცელებული პანდემიის გამო საქართველოს ნაკრებს მნიშვნელოვანი მატჩები გადაედო. ჰოდა, ვაისის კონტრაქტიც გაგრძელდა...

ვინაობა, ვინ შედის ამ ათაუღში.

1. იოაჰიმ ლიოვიცა

გერმანია, 2006 წლის ივლისიდან 14 წელია, რაც ლიოვიცა გერმანიის ეროვნულ გუნდს წვრთნის. არაოფიციალურად სულაც 16 წელია, რადგან კონტრაქტის ვადა 2004 წლიდან მუშაობს. თავდაპირველად ლიოვიცა 2 წელი იურგენ კლინსმანის ასისტენტი გახლდათ. მეტიც, გერმანიაში ყველა თანამდებობა იმაზე, რომ იმ 2 წლის განმავლობაში, მთავარი მწვრთნელის სამეცხვო ლიოვიცა აკეთებდა, კლინსმანი კი, უბრალოდ, კარგი მოტივაციორი იყო. მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შემდეგ კი, კლინსი გაუშვეს, ლიოვიცა კი მთავარ მწვრთნელად დაინიშნა და დღემდე ამ თანამდებობაზეა.

2. კრისტიან ლიურსი

ანდორა, 2010 წლის თებერვლიდან ანდორის ნაკრების ყოფილი მენეჯერი, რომელმაც 78-ჯერ დაიცვა ეროვნული გუნდის ღირსება. 2003 წელს ანდორის ფეხბურთის ფედერაციამ ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. ამ ისტორიის ერთადერთი ლოგიკური გაგრძელება ეს იყო: 2010 წლის თებერვლიდან ალვარესი ანდორის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. ანდორის ნაკრების შედეგებზე კი ახლა უნდა გითხრა...

3. ლუკ კოლტა

ლუქსემბურგის ნაკრების მთავარი მწვრთნელია 89 მატჩიდან 55 ნაკრები. მისი ხელმძღვანელობით გუნდი საშუალოდ ერთ მატჩში 0,76 ქულას იღებს. დიდ ტურნირზე გუნდი, რა თქმა უნდა, არ გაუყვანია, მაგრამ ლუქსემბურგში მისი მუშაობით ყველა კმაყოფილია. ჩვენი რა მიდის...

4. ბაიკო რინი

ჩრდილოირლანდიელ მწვრთნელს 2012 წლიდან 2019 წლიდან კი ინგლისურ სტოკ სიტისაც წვრთნის. ეს იმიტომ მოხდა, რომ მის ხელში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები მაჩანჩალა სულაც აღარ არის და ბევრი გრანდი გაუმწარებია...

5. დიეგო ეშპაი

დიეგო ეშპაი ორჯერ შეძლო იტალიის თაობის მწვრთნელად აყვანა: 1998 წელს როგორც საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა მსოფლიო თასი აღმართა, ხოლო 20 წლის შემდეგ იგივე ტურნირი უკვე ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში მოიგო.

მარო ზაგლოსა და ფრანც ბეკენბაუერის შემდეგ დეშპაი მხოლოდ, რომელსაც მუნდიალი ფეხბურთელის რანგშიც მოგებული აქვს და მწვრთნელის რანგშიც. ეს არ არის პატარა ამბავი!

თავად ჯერ წასვლას არ აპირებს და ფედერაცია სუპერშედეგის მქონე მწვრთნელს ხომ არ გააგდებს...

6. ვლადიმირ ვაისიცი

შვეიცარია, 2014 წლის ივლისიდან პეტკოვიჩის ყველა იმ მწვრთნელს შორის, ვისაც შვეიცარიის ნაკრებში უმუშავია, საუკეთესო სტატისტიკა აქვს. პლუს, შვეიცარიის ეროვნული გუნდი ყველა დიდ ტურნირზე გაიყვანა. მიუხედავად ამისა, მას მუდმივად აკრიტიკებენ და მუდმივად გათავისუფლებას უწინასწარმეტყველებენ. ეს იმის ბრალია, რომ შვეიცარიელ სპორტულ ჟურნალისტებს ძალიან უყვართ პეტკოვიჩის წინამორბედი ოტმარ პიტცფელდი. ისინი ხშირად წერენ, რომ ვლადიმირ ახლოსაც ვერ მიდის ოტმარამდე. მაგრამ შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციაში პრაგმატულად აზროვნებენ და ცოტა ხნის წინ, პეტკოვიჩს კონტრაქტი გაუგრძელეს.

7. ფრანკ რაიკოვიჩი

2016 წელს პორტუგალიის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა და პორტუგალიაში დღემდე დავობენ, ვის უფრო დიდი წვლილი აქვს ამ წარმატებაში — კრიშტიანუ რონალდუს თუ ფერნანდუ სანტუსი. ფაქტია ერთი, ფრანკ რაიკოვიჩი ფეხბურთის მწვრთნელი არ უთამაშია, სანტუსი კი არის მწვრთნელი, რომელმაც პორტუგალიას ისტორიული ტრიუმფი შეაძლებინა.

8. იმორ ანაბალინი

ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იგორ ანგელოვსკი ოთხწლიან ნაწილში მსახურობდა და მის გუნდს ჩინებულ იშვანთა აქვთ დიდ ტურნირზე თამაში. ეს ან უკვე მომავალი წლისთვის გადადებული იქნება და მათი გადაწყვეტილებებით ყოველთვის უკმაყოფილოა.

აქამდე უმსხვილეს მყოფ ანგელოვსკისა და მის გუნდს ჩინებულ იშვანთა აქვთ დიდ ტურნირზე თამაში. ეს ან უკვე მომავალი წლისთვის გადადებული იქნება და მათი გადაწყვეტილებებით ყოველთვის უკმაყოფილოა.

9. უგო პარედი

66 წლის ოგე პარედი ყველაზე ნაირი მიზეზი აქვს საიმიხოდ, რომ ახლა სწორედ ასეთი სახე ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ მან დანის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა, ტურნირი კი ერთი წლით გადაიდო. პარედი კონტრაქტი 31 ივლისს უმთავრდება. და უკვე გადაწყვეტილია, რომ მას კასპერ ჰიულმანდი შეცვლის.

ასე რომ, 1 აგვისტოდან ეს სია შეიცვლება...

10. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

11. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

12. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

13. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

14. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

15. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

16. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

17. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

18. ვლადიმირ ვაისი

საქართველო, 2016 წლის მაისიდან დღემდე მწვრთნელს შორის, მუშაობის ხანგრძლივობით მე-10 ადგილზეა. არ არის ცუდი შედეგი. იმედია, საქართველოს ნაკრებს უახლოეს ევროპირველობაზე გაიყვანს...

ნა ახალ გეგმას აწვავს

ამერიკული მედიის ინფორმაციით, ნა 25-დღიან გეგმაზე მუშაობს, რომელიც დაეხმარება კალათბურთელებს სეზონის განახლებას მომზადებულ მდგომარეობაში. გავრცელებული ცნობით, თუ კორონავირუსის პანდემიის შეკავება მოხერხდება და სეზონის განახლების პერსპექტივა გაჩნდება, ნა აღნიშნულ გეგმას გამოიყენებს.

გეგმის მიხედვით, 11 დღის განმავლობაში კალათბურთელები ინდივიდუალურად ივარჯიშებენ, რის შემდეგაც გუნდები 14-დღიან სავარჯიშო ბანაკს მოაწყობენ.

როგორც მედიის გეგმაცნობს, ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია აშშ-ში მდგომარეობის გაუმჯობესებიდან 3-4 კვირის შემდეგ დაგვიბრუნდება, მაგრამ არ აკონკრეტებს ეს რა ეტაპზე მოხდება.

რამდენიმე ამერიკული გამოცემის ინფორმაციით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, რეგულარული სეზონის განახლება პრაქტიკულად შეუძლებელია და არის ალბათობა, რომ პირდაპირ ფლეი ოფები ვიხილოთ.

ქიხვოხი ბ

შეუღალა: 1. გარეგნული მომზიდველობა, მიმზიდველობა; 2. ბუვიეს რომანი; 3. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის ნაწილი; 4. თანავარსკვლავედის ქართული სახელწოდება; 5. პატარა სამკუთხა ალაში; 6. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 7. ოპერა „მფრინავი პოლანდიელი“ მუსიკის ავტორი; 8. კაკაოსგან მომზადებული ტკბილეული; 9. დაბალი ხარისხის შაქარი; 10. ხელოვნური გამოქვაბული პარკებში; 11. ყვითელი, წვინანი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი.

თარაზუღალა: 1. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 2. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 3. სამხედრო გადატრიალების მომწყობა, შეთქმულება ჯგუფი; 4. წყნარი, უქარო ამინდის ზღვაზე; 5. ნივთიერების მასალის მასალა; 6. კვანძების უპირველესი მასალა; 7. კვანძების უპირველესი მასალა; 8. კვანძების უპირველესი მასალა; 9. კვანძების უპირველესი მასალა; 10. კვანძების უპირველესი მასალა; 11. კვანძების უპირველესი მასალა; 12. კვანძების უპირველესი მასალა; 13. კვანძების უპირველესი მასალა; 14. კვანძების უპირველესი მასალა; 15. კვანძების უპირველესი მასალა; 16. კვანძების უპირველესი მასალა; 17. კვანძების უპირველესი მასალა; 18. კვანძების უპირველესი მასალა.

შეადგინა თ. გოგინაშვილი

წინა ნომერი გამოქვეყნებისას

ქიხვოხი ბ

შეუღალა: 1. დეპორტი; 2. ქართული; 3. დოში; 4. ცეხურა; 5. შხარა; 6. რეპორტი; 7. ნუხისი; 8. გრაფიკა; 9. ბარჯი; 10. პოლიცია; 11. კომპასი; 12. ბაკარა; 13. „ელესა“; 14. ქადა.

თარაზუღალა: 1. დუქარი; 2. ოკაცე; 3. შველი; 4. „ზარა“; 5. პითონი; 6. „როკორო“; 7. ბაია; 8. პამპოლი; 9. კურსი; 10. ონისი; 11. კაკაო; 12. სურდინა; 13. სორენტო.

ქიხვოხი ბ

შეუღალა: 1. ყელი; 2. აბე; 3. ჰამილტონი; 4. იალტა; 5. „მეტრო“; 6. ბორი; 7. მიუსერა; 8. საფინჩა; 9. სლენგი; 10. ვალსი; 11. სტეპი.

თარაზუღალა: 1. ყეფობა; 2. დაბახანა; 3. ლობიო; 4. სპინი; 5. ხრამი; 6. ვისკი; 7. კასიო; 8. ნომი; 9. „იროკეზი“; 10. კრუივი.

